ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7450685

ნომერი: AR11084922

თარიღი : 01.04.2025

გაცემის თარიღი : 16.04.2025

გაცნობის თარიღი : 16.04.2025

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ., N13, თამარაშვილის ქ., N13ნ, თამარაშვილის ქ., N13მ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კორძახია პ/ნ 01009004543
- თბილისი, ა. ყაზბეგის 51ა. ბ.19

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR11084922 (01/04/2025) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის

არქიტექურის სამსახურის 11/06/2013 წლის №703361 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ნაკვეთის განახლებული ფართობის და კონფიგურაციის დაფიქსირებას მინიჭებული კოეფიციენტების უცვლელად.
აღნიშნულისთვის აუცილებელია სპეციალურ ზონალურ შეთანხმებაში ცვლილების განხორციელება რისთვისაც უნდა მიმართოთ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შესაბამისი ნომენკლატურით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს AR11084922 (01/04/2025) განცხადებით მოთხოვნილი საკითხი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.